ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

CSRDG

KONRAD ADENAUER STIFTUNG

საგრანტო კონკურსი: ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების საკითხების მონიტორინგი და ადვოკატირება
კონკურსის პირობები

ინიციატივის შესახებ

ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „**სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის*“ მიზნად ისახავს, გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოება როგორც დამოუკიდებელი, მდგრადი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული აქტორი მთელი საქართველოს მასშტაბით.

პროექტს სამი კონკრეტული ამოცანა აქვს:

1. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის საჭირო სამართლებრივი და ფინანსური გარემოს გაუმჯობესება, მათ შორის, სახელმწიფო დაფინანსების გამჭვირვალობა და არასახელმწიფო დაფინანსების გამრავალფეროვნება, ბიზნესის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის პოპულარიზაცია.

2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მათ სამიზნე აუდიტორიას შორის კავშირების გამყარება, მათ შორის, სამოქალაქო ღირებულებების პოპულარიზაცია, საზოგადოების სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული საქმიანობის წახალისება.

3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება და სამოქალაქო სექტორის ინსტიტუციური გაძლიერება ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით ზედამხედველობისა და ადვოკატირების თვალსაზრისით.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

"სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა" ემყარება ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" (CSSIGE 2017-2020) განხორციელების პროცესში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

CSRDG-ის მიერ განსახორციელებელი აქტივობებიდან ერთ-ერთი აქტივობა ითვალისწინებს გრანტების გაცემას საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთკავშირების გამყარებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის, საჯარო პოლიტიკის მონიტორინგისა და ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების ადვოკატირების მიმართულებით.

საგრანტო კონკურსის მიზანი და ამოცანა

<u>კონკურსის მიზანია:</u>

იმ ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობს ევროკავშირთან ასოცირების პროცესის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელებასთან დაკავშირებული რეფორმების ეფექტიან განხორციელებას, განსაკუთრებით ისეთი საკითხებზე, როგორიცაა: გარემოს დაცვა, ენერგო-ეფექტურობა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, სურსათის უვნებლობა და სხვა.

<u>კონკურსის ამოცანაა:</u>

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული **რეფორმების განხორციელების სამოქალაქო მონიტორინგი და ადვოკატირება**.

სასურველია, რომ კონკურსში წარმოდგენილი პროექტები ითვალისწინებდეს შემდეგ საქმიანობებს (ჩამონათვალი არ არის ამომწურავი):

1. შესაბამისი საჯარო უწყებების მიერ განხორციელებული საქმიანობების შესწავლა/მონიტორინგი, ან/და შესაბამისი საჯარო უწყებების მიმდინარე საქმიანობაზე დაკვირვება/მონიტორინგი, ან/და იმ კერძო სექტორის საქმიანობაზე დაკვირვება, რომელსაც რეფორმების შედეგად გარკვეული ქმედების განხორციელება ან პირიქით, გარკვეული ქმედებებისგან თავის შეკავება ევალება;
2. მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირება, დამუშავება და დეტალური ანგარიშების მომზადება;
3. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემების თაობაზე ფართო საზოგადოების ინფორმირება;
4. შესაბამისი ორგანიზაციებისათვის გამოვლენილი პრობლემების მოგვარების მოთხოვნა.
5. შესაბამის პრობლემაზე, მის აქტუალურობაზე, მისი ეფექტურად გადაჭრის გზებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები;
6. პრობლემების გამოვლენის ან გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გაიოლების მიზნით შესაბამის უწყებასთან თანამშრომლობა (მ.შ. ინფორმაციის მიწოდება, სწავლება, სადემონსტრაციო პროექტის განხორციელება);

საგრანტო კონკურსში მონაწილეობა

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას, რომელიც რეგისტრირებულია და <u>საქმიანობს საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, **თბილისის გარდა.** იმ ორგანიზაციათა მონაწილეობა, რომლებიც თბილისში არიან რეგისტრირებული ან ძირითადად თბილისში საქმიანობენ, დაიშვება მხოლოდ პარტნიორის (თანაგანმცხადებლის) სახით.</u>

ორგანიზაციას შეუძლია კონკურსში ერთზე მეტი საგრანტო განაცხადი წარმოადგინოს. თუმცა, ერთ ორგანიზაციაზე გაიცემა არაუმეტეს ერთი გრანტისა. თანაგანმცხადებელს შეუძლია კონკურსში გამარჯვებულ ერთზე მეტ პროექტში იყოს ჩართული.

კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებსაც პროექტის მიზანსა და ამოცანასთან ნებისმიერი სახის ინტერესთა შეუთავსებლობა აქვთ.

შერჩევის კრიტერიუმები

შეფასების პირველ ეტაპზე, განიხილება წარმოდგენილი პროექტების შესაბამისობა კონკურსის მიზანთან და ამოცანასთან. ის პროექტები, რომლებიც შეუსაბამოდ ჩაითვლება, შეფასების შემდეგ სტადიაზე ვერ გადავა.

<u>შეფასების მეორე ეტაპზე პროექტები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:</u>

	შეფასების კრიტერიუმი	**ქულა**
1	პრობლემის აქტუალურობა	**25 ქულა**
2	პროექტის განხორციელების გზების ინოვაციურობა/კრეატიულობა	**20 ქულა**
3	პროექტის მეთოდოლოგიის ეფექტურობა (მონიტორინგის და ადვოკატირების მიზნებისა და საშუალებების სწორი შერჩევა და საქმიანობათა ადეკვატური დაგეგმვა)	**25 ქულა**
4	პროექტის შედეგების მდგრადობა და მათი გაფართოების პერსპექტივა	**20 ქულა**
5	რამდენად აქვს განმცხადებელს პროექტის განხორციელების შესაძლებლობა ორგანიზაციული განვითარების თვალსაზრისით (გუნდი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შიდა ორგანიზაციული დოკუმენტები და სხვა)	**10 ქულა**
სულ		**100 ქულა**

განაცხადების პლიუსად ჩაითვლება პროექტის საქმიანობებში ქალების, სხვადასხვა უმცირესობების ან მარგინალური ჯგუფების ჩართულობა.

შერჩევის პროცედურა

- პროექტის შეფასებასა და დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებით, ასევე, სხვადასხვა დარგის დამოუკიდებელი ექსპერტებით;
- კომისიას შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია; განმცხადებელთან ადგილზე ვიზიტს განახორციელებენ CSRDG-ის წარმომადგენლები. დამატებითი ინფორმაციის მოსაწოდებლად განმცხადებლებს სულ ცოტა 4 სამუშაო დღე მიეცემათ.
- ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელების სამოქალაქო მონიტორინგსა და ადვოკატირებაში ნაკლები გამოცდილების მქონე ორგანიზაციებს CSRDG სთავაზობს პროექტის განხორციელების პროცესში გამოცდილი არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან მენტორობას, თუკი პროექტების შეფასების პროცესში ასეთ რეკომენდაციას მიიღებს კომისია.

საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა და ბიუჯეტი

პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს **18 თვეს, ხოლო** საგრანტო თანხის მაქსიმალური ოდენობა - **35,000 ლარს.**

<u>დაბეგვრა:</u>
მიღებული გრანტით დღგ-ს თანხა არ ანაზღაურდება. შესაბამისად, თუ გრანტით მიღებული თანხა დაიხარჯა დღგ-ზე, გრანტის მიმღებმა ორგანიზაციამ იგი დადგენილი წესით უნდა გამოითხოვოს (დაიბრუნოს) შემოსავლების სამსახურიდან. პროექტის ხარჯების საბოლოო ანგარიში CSRDG-ის უნდა ჩაბარდეს დღგ-ს გარეშე.

CSRDG არ ანაზღაურებს კონკურსში მონაწილის მიერ საგრანტო განაცხადის მომზადებისა და წარმოდგენისათვის გაწეულ ხარჯებს, მიუხედავად იმისა, შეირჩევა თუ არა მისი განაცხადი.

განაცხადების წარდგენის პროცედურა

<u>განაცხადის სრული პაკეტი მოიცავს შემდეგ დოკუმენტაციას:</u>

- **პროექტის განაცხადი** - მომზადებული ნიმუშის მიხედვით, რომელიც თან ერთვის საკონკურსო განცხადებას.
- **დანართი #1 - პროექტის საქმიანობის გეგმა** - მომზადებული ნიმუშის მიხედვით, რომელიც თან ერთვის საკონკურსო განცხადებას.
- **დანართი #2 - დეტალური ბიუჯეტი** - მომზადებული ნიმუშის მიხედვით, რომელიც თან ერთვის საკონკურსო განცხადებას.
- **თანაგანმცხადებლის შემთხვევაში: დანართი #3 - თანაგანმცხადებლ(ებ)ის რწმუნებულება** - მომზადებული ნიმუშის მიხედვით, რომელიც თან ერთვის საკონკურსო განცხადებას. რწმუნებულება მომზადებული და ხელმოწერილი უნდა იყოს თითოეული თანაგანმცხადებელი ორგანიზაციის მიერ.
- საგრანტო პროექტის განმახორციელებელი **გუნდის ძირითადი წევრების რეზიუმეები (CV).**
- განმცხადებლების ბოლო **6** თვის მანძილზე განახლებული **ამონაწერი იურიდიულ პირთა რეესტრიდან.**
- განმცხადებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღმწერი და **შიდა-ორგანიზაციული დოკუმენტები,** მათი არსებობის შემთხვევაში (სტრატეგიული გეგმა, ორგანიზაციული სტრუქტურა, შინაგანაწესი, საკადრო პოლიტიკა, ფინანსების მართვის პოლიტიკა და ა.შ.)

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა განაცხადის სრული პაკეტი უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: aogrants.management@gmail.com .

გამოგზავნის შემდეგ მიიღებთ საპასუხო წერილს იმის თაობაზე, რომ თქვენი განაცხადი მიღებულია.

განაცხადების ელ-ფოსტით გამოგზავნის ბოლო ვადაა **2023 წლის 15 მარტი, 18:00 საათი.**

საბოლოო გადაწყვეტილება პროექტების დაფინანსების თაობაზე მიღებული იქნება არაუგვიანეს **2023 წლის 4 აპრილისა.** ამის თაობაზე პროექტის ხელმძღვანელები წერილობით პასუხებს მიიღებენ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

დაგვიანებით წარმოდგენილი განაცხადები არ განიხილება.

კონკურსის დროს მიღებულ დოკუმენტებს CSRDG მხოლოდ განხილვის მიზნით გამოიყენებს და არ გაუზიარებს გარეშე პირებს ან ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ან პროექტის დამფინანსებლის მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული შემთხვევებისა.

საკონტაქტო ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: aogrants.management@gmail.com

კონკურსთან დაკავშირებით შემოსული შეკითხვები, შესაბამისი პასუხებით, გამოქვეყნდება ორგანიზაციის ვებსაიტზე www.csrdg.ge.

საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართება ZOOM პლატფორმის მეშვეობით შემდეგ დღეებში:

10.02.2023, 17.02.2023, 10.03.2023 - 12:00 სთ-ზე

სამივე საკონსულტაციო შეხვედრის ბმული -
https://us02web.zoom.us/j/88456707171?pwd=OFRzWHRReWhnMUFoVU14NVdZellpZz09

Meeting ID: **884 5670 7171**
Passcode: **254127**

გაცნობებთ, საგრანტო კონკურსის ერთ-ერთი პრიორიტეტული თემაა **გარემოს დაცვა**. შესაბამისად, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი **2023 წლის 23-24 თებერვალს** გთავაზობთ **ონლაინ** ტრენინგს ასოცირების შეთანხმების მონიტორინგისა და ადვოკატირების საკითხებზე (აქცენტით გარემოს დაცვაზე), რომელზეც განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მონიტორინგისა და ადვოკატირების აუცილებლობა. ჩვენი გაგება სახელმწიფო სტრატეგიის/პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის/ზედამხედველობის შესახებ (ლია თოდუა, CSRDG);
- აქტუალური სესია/ლექცია იმის შესახებ, თუ რა ეტაპზე იმყოფება საქართველო ასოცირების შეთანხმების შესაბამისი ნაწილის (**გარემოს დაცვა - გარემოსდაცვითი ნებართვები და გარემოზე ზემოქმედების შეფასება**) განხორციელების კუთხით (ქეთევან გუჯარაიძე);
- სსო-თა ორგანიზაციული განვითარება: კონცეფცია, აუცილებლობა, ინსტრუმენტები, საშუალებები, შესაძლებლობები (ქრისტინე კანდელაკი, CSRDG).

ტრენინგის მონაწილეები ჯგუფურად შეიმუშავებენ ზოგადი მონიტორინგისა და თემატური მონიტორინგის პროექტების იდეებს, წარუდგენენ მათ ტრენინგის მონაწილეებსა და ექსპერტებს და მიიღებენ უკუკავშირს.

ტრენინგზე მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წინასწარი რეგისტრაცია, არაუგვიანეს **17 თებერვლისა**. ტრენინგზე სარეგისტრაციო ბმული: https://rb.gy/0jap6l ტრენინგზე მონაწილეობისათვის მსურვებმა უნდა წარმოადგინონ წერილობითი თანხმობა შესაბამისი ორგანიზაციიდან.

ტრენინგზე ადგილები შეზღუდულია. მონაწილეთა დიდი რაოდენობის დარეგისტრირების შემთხვევაში, პრიორიტეტი მიენიჭება იმ კანდიდატებს/ორგანიზაციებს, რომელთაც არ გაუვლიათ მსგავსი ტრენინგები. ტრენინგის ბმული მონაწილეებს დაეგზავნებათ ელექტრინულ ფოსტაზე ინდივიდუალურად.